

THERMORY®

მყუდრო ინტერიერის შესაქმნელად არაფერია ბუნებრივ მასალაზე უკეთესი. პროფილების გრძელვადიანი გამოყენებისთვის აუცილებელია მათი ინსტალაციისა და შენახვის წესების დაცვა. ქვემოთ მოცემული ინფორმაციული ინსტრუქციები შედგენილია ამჟამად პრაქტიკაში არსებულ საუკეთესო ცოდნაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით და აუცილებელია ინსტალაცია მოხდეს მათი მიხედვით.

შემომნმეთ პროფილები ტრანსპორტირების შემდგომ სანამ დაამონტაჟებთ, ხომ არ დაზიანდა

არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ დაზიანებული დაფები საინსტალაციოდ.

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ჩვენი გაყიდვების გუნდს.

ინსტალაციის სახელმძღვანელო


ინტერიერის კედლის
პანელები

1. დასაწყობება
2. მომზადება
ინსტალაციისათვის
3. კედლის პანელების
ინსტალაცია
 - 3.1 ფარული ინსტალაცია.
 - 3.2 ინსტალაცია კედელზე.
 - 3.3 ინსტალაცია ჭერზე.
4. Thermory-ს ფილების

ინსტალაცია;

5. სხვა რჩევები;
 - 5.1 პუნქტები, რომლებზეც აუცილებელია ყურადღების გამახვილება.
 - 5.2 რჩევები თერმულად დამუშავებული ხის გამოყენებისთვის.
6. შენახვა/მოვლა.

Accent by Thermory black waxed wall panels (SRP 15x82 mm).
Private house in Estonia. Photo by Elvo Jakobson



1. დასაწყობება

● თუ ინსტალაციამდე რამდენიმე კვირით ადრე განთავსებთ პროფილებს იმავე ოთახში სადაც უნდა მოხდეს მათი მონტაჟი, ეს იქნება სასურველს ვარიანტი ინტერიერის პროფილების დასაწყობებისთვის. ამგვარად ხე შეეგუება სივრცეში არსებულ ტენიანობის პირობებს

● დაალაგეთ პროფილები სწორ ზედაპირზე, იატაკიდან მინიმუმ 30სმ სიმაღლეზე. ეს უზრუნველყოფს ჰაერის მიმოსვლას მათ შორის.

● პროფილები უნდა შეინახოთ იმავე ტემპერატურაში, რა ტემპერატურაშიც უნდა მოხდეს მათი ინსტალაცია. შენახვისათვის იდეალურია 15-22 °C გრადუსი.

● თუ დასაწყობების ადგილას არის გამათბობელი, დარწმუნდით რომ ოთახის ტემპერატურა არ არის 25 °C გრადუსზე მეტი.

● ინსტალაციამდე არ გახსნათ შეფუთვები. საფარი მოხსენით დაგების პროცესში.

2. მომზადება ინსტალაციისათვის

● კედლის პანელების ინსტალაცია უნდა მოხდეს რემონტის დასასრულისას, რადგან ისინი არ არიან ტოლერანტულები ტენიანობის მიმართ. სხვა სამუშაოების ჩატარებისას მათი გაკვრა არ იქნება ხელსაყრელი, რადგან ამით პანელები შესაძლოა საკმარისზე მეტად დატენიანდეს და გამოიწვიოს ხის დაზიანება.

● დარწმუნდით, რომ მასალა საკმარისია თქვენი ობიექტისთვის.

● დარწმუნდით, რომ გაქვთ საკმარისი მასალა, რადგან სხვადასხვა პერიოდში წარმოებულ პროდუქციას აქვს განსხვავებული ტონალობა.

● ნებისმიერი სახის სველი ოპერაცია (მორეცხვა, სხვა ნაწილების ღებვა) უნდა მოხდეს ინსტალაციამდე. თუ ეს მას შემდეგ მოხდება, ხე შეინოვს არსებულ სისველეს და ამოიბურცება.


● კედლის პანელების შექმნისას გაითვალისწინეთ 5-10%იანი ნამატი/ხარჯი

Motion by Thermory aspen wall panels (Wave 28x65 mm).



3. კედლის პანელების ინსტალაცია

ჰორიზონტალური პანელების ინსტალაცია




● გახსენით რამდენიმე შეფუთვა, რომ უკეთ მოაზომოთ თქვენს კედელს.

● რეკომენდირებულია გამოიყენოთ სტეპლერის ტყვიები ან უჟანგავი ფოლადის ფლიფსები.

● პირველ რიგში, დაამონტაჟეთ ქვედა კონსტრუქცია რომლებზეც დაყენდება ინტერიერის პროფილები. მათი ზომა უნდა იყოს მინიმუმ 20მმ სისქის და არანაკლებ 45მმ სიგანისა. თუ კედლის პანელები უნდა მოათავსოთ ჰორიზონტალურად, მაშინ ქვედა ჯოხები უნდა დაყენდეს ვერტიკალურად. თუ ვერტიკალურად აპირებთ პროფილების განთავსებას, მაშინ ქვედა ჯოხები უნდა იყოს ჰორიზონტალურად. .

● თუ ოთახი საკმარისად მშრალია და კარგად ნიავედება, ამ შემთხვევაში დამატებითი სავენტილაციო სივრცეების დატოვება არ არის აუცილებელი. რეკომენდირებულია 40მმ დაშორება ქვედა ჯოხებს შორის, არ უნდა აღემატებოდეს 600მმ-ს.


ვერტიკალური პანელების ინსტალაცია




● ჰორიზონტალური ინსტალაციისას პანელები განლაგეთ სიმრგვალებზე, ჯერ ყველა კედლის ერთი მწკრივი დაამაგრეთ, შემდეგ მეორე და ასე გააგრძელეთ.

3.1 ფარული ინსტალაცია

- ჰორიზონტალურად განლაგებისთვის ფარული ინსტალაციის უფექტის მისაღებად განლაგება დაიწყეთ ზემოდან ქვემოთ.
- სტეპლერის საშუალოებით დაამაგრეთ შიდა კბილანები ქვედა კოსტრუქციაზე.
- განათავსეთ კბილები ქვემოთ და სწორი გვერდები ზემოთ.
- ვერტიკალური ინსტალაციისას დაუტოვეთ პანელებს 10მმ-იანი დაშორება.
- სამი მწკრივის ინსტალაციის შემდეგ შეამოწმეთ პანელების სისწორე დონის განმსაზღვრელი მოწყობილობით.
- დარწმუნდით, რომ კბილანებიანი მხარე იყოს მიმართული იატაკისკენ.
- პირველი მწკრივის სისწორის მიხედვით მიიღებთ მთლიან ვიზუალს, ამიტომ დარწმუნდით რომ ის იდეალურად სწორია. ხშირად გაზომეთ თარაზოთი.



ჰორიზონტალური პროფილების ინსტალაცია



ვერტიკალური პროფილების ინსტალაცია

3.2 კედლის პანელების ინსტალაცია

ფიქსაცია სტეპლერის ტყვიებით




გვერდხედი

ფიქსაცია კლიფსებით



გვერდხედი

წინხედი



წინხედი



3.3 ინსტალაცია ჭერზე

თუ გსურთ ხის პანელები ჭერზეც დააყენოთ, ამ შემთხვევაში ინსტალაცია უნდა დაიწყოს ჭერიდან და მხოლოდ ამის შემდგომ გადმოხვიდეთ კედელზე. მონტაჟის პროცესი არის ჰორიზონტალური ინსტალაციის მსგავსი. დატოვეთ მინიმალური სივრცე ჰაერის ვენტილაციისთვის დაბოლოებებთან და ჭერიდან კედელზე გადასვლის ადგილას.



Benchmark by Thermory thermo-ash wall panel and ceiling. Maidla Nature Villa in Estonia. Designed by Mari Hunt, b210 Architects. Photo by Elvo Jakobson

4. Thermory-ს ფილების ინსტალაცია



პირველ რიგში უნდა შეარჩიოთ პანელი რამდენიმე სხვადასხვა ზომას შორის.


შერჩევის შემდეგ პროფილის სიგრძის შესაბამისად უნდა დაამონტაჟოთ ქვედა ჯოხები დაშორებებით.

ჯერ დაითვალეთ გასაკრავი სივრცის მოცულობა, შემდეგ დათვალეთ პანელის მოცულობა და იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობა იქნება საჭირო ამ მოცულობის.

დასაფარად დაამონტაჟეთ ქვედა კოსტრუქცია.

Data on Tiles by Thermory boarding

OVERALL LENGTH (MM)	MAX. LENGTH OF COUNTER BATTERNS (MM)
293	285
578	570
1148	600




Tiles by Thermory panels horizontal installation



Tiles by Thermory aspen wall panels.

ამ პროფილების საშუალებით შეგიძლიათ სხვადასხვა ინსტალაციის ხერხს მიმართოთ.



Tiles by Thermory panels vertical installation

5. სხვა რჩევები

5.1 პუნქტები, რომლებზეც უნდა გაამახვილოთ განსაკუთრებული ყურადღება

- დარწმუნდით, რომ პანელები დამონტაჟებულია სწორად; შეასრულეთ საკონტროლო გაზომვები ლაზერით ან თოკით.
- დარწმუნდით, რომ სამაგრები სწორად არის შერჩეული.
- საჭიროების შემთხვევაში მოითხოვეთ დახმარება პროფესიონალი ინსტალატორისგან ან/და დაიქირავეთ ის.

5.2 რჩევები თერმულად დამუშავებული ხის გამოყენებისთვის:

- ბრენდს აქვს დიდი არჩევანი საშუალო და ინტენსიური თერმულად დამუშავებული ხეების სიაში
- ინსტალაციამდე შეფუთვებს მოეპყარით ფრთხილად
- თერმულად დამუშავებულ ხეს აქვს დამახასიათებელი მძაფრი სუნი, რომელიც დროთა განმავლობაში სუსტდება;

6. შენახვა/მოვლა.

- მშრალ, შიდა პირობებში გამოყენებისას Thermory-ს ინტერიერის პანელები არ საჭიროებს დამატებით მოვლას. მისი დაბინძურების შემთხვევაში უნდა განმინდოთ ქსოვილით.
- ხშირ შემთხვევაში მტვერსასრუტი საკმარისია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ კარგად განურული ტილო/მოპი. მოწმენდის შემდგომ წყალი უნდა გაშრეს ერთ ნუთში.
- წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ თქვენ არასწორი რაოდენობის წყალი გამოიყენეთ წმენდისას და მოპი/ტილო უფრო მეტად უნდა განურულიყო.



დატოვე დაუსრულებელი ანაბეჭდი

Thermory არის ლიდერი ბრენდი თერმული მოდიფიკაციის სფეროში. ბრენდი გვთავაზობს მაღალი ხარისხის გრძელვადიანი გამოყენების ფართო ასორტიმენტს. ისინი სრულად წარმოებულია ეკომეგობრული ტექნოლოგიით. ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში უამრავი პროექტით, კოლაბორაციით არქიტექტორებსა და დიზაინერებთან ერთად წარმოგვიდგება.

ჩვენ ვზრუნავთ გარემოზე და ვეპყრობით ბუნებას ღრმა პატივისცემით.

შესყიდვის პროცესი ეკოლოგიური პასუხისმგებლობით სრულდება და ჩვენ ვიცავთ ხარისხის მაღალ სტანდარტებს.

- გემბანი
- ფასადი
- ინტერიერი
- საუნა

სარეალიზაციოდ წარმოდგენილი ხე-ტყე საგულდაგულოდ არის შემოწმებული და აღებულია მდგრადი, მართული ტყეებიდან.



როგორც გამძლე და შესანიშნავი იზოლატორი, ამავედროულად განახლებადი რესურსი ხე ერთ-ერთი საუკეთესო ეკოლოგიურად სუფთა არჩევანია სამშენებლო პროექტებისათვის.

თუ ფიქრობთ, რომ მომავლის რესურსები უნდა დაიცვათ, მაშინ ჩვენ საერთო მისიით ვართ, რადგან გვსურს დავტოვოთ ჰარმონიული და მდგრადი სამყარო.

ნატურალური ხის პროდუქტები გამძლეობითა და სილამაზით ხის ყოველი ბოჭკოდან